ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

EU4Environment
Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Republic of Moldova, Ukraine

ეროვნული პოლიტიკის დიალოგი მწვანე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების შესახებ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საქართველოში

დღის წესრიგი

2019 წლის 16 ივლისი, თბილისი

შეხვედრის ადგილი:
სასტუმრო ქორთიარდ მარიოტი, თბილისი
თავისუფლების მოედანი 4, 0105 თბილისი
შეხვედრის ოთახი: Ballroom I

დაწყება 9:00
უზრუნველყოფილი იქნება ინგლისურ-ქართული თარგმანი.

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment | UNIDO | WORLD BANK GROUP

მწვანე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საქართველოში

შესავალი

მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს ეკონომიკაში. ძირითადი დარგები, რომლებშიც მცირე და საშუალო საწარმოები განსაკუთრებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გარემოს თვალსაზრისით, მოიცავს საკვების დამუშავებას, წიაღისეულის მოპოვებას და ტურიზმს (სასტუმროები და რესტორნები). მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ეკონომიკის ხერხემალია, განიხილება, როგორც ძირითადი სუბიექტი ნახშირბადის დაბალ ემისიაზე ქვეყნის გადასვლის პროცესში.

მართალია, დაბალია ცალკეული მცირე და საშუალო საწარმოების ეკოლოგიური გავლენა, მაგრამ მათი ჯამური ზემოქმედება არაერთ საკითხში აღემატება მსხვილი ბიზნესების გავლენას. მცირე და საშუალო საწარმოების მხრიდან გარემოს დაბინძურების შემცირება, მასალებისა და ენერგოინტენსივობის კლება დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ეფექტურობაზე. თუმცა, ნახშირბადის დაბალ ემისიაზე ორიენტირებული, ენერგოეფექტიანი SMEs სექტორის დაფინანსების მასშტაბის ზრდა სპონტანურად ვერ მოხდება. ამისათვის საჭიროა, რომ ხელისუფლებამ, კერძო ინვესტორებმა, დამფინანსებელმა ორგანიზაციებმა, მწარმოებლებმა და მომხმარებლებმა ერთობლივად იმუშაონ, რათა განსაზღვრონ უკეთესი გადაწყვეტილებები უფრო ეფექტური და ეფექტიანი მწვანე დაფინანსების მობილიზების მიზნით.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოში, ისევე, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ფინანსურ ბაზრებზე კომერციული ბანკების დომინანტურ პოზიციას, ბანკებმა უნდა შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მწვანე ინვესტიციის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, არსებული საბაზრო პირობების შესაბამისად, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ბანკების ჩართულობა შეზღუდული რჩება. ზოგადად, ადგილობრივ კომერციულ ბანკებს მხოლოდ კონკრეტული დამტკიცებული საკრედიტო ხაზები აქვთ საერთაშორისო საფინანსო ინტიტუტების (IFIs) მხარდაჭერის შემთხვევაში და მათი მხოლოდ მცირე რაოდენობა განაგრძობს მსგავსი პროდუქტების შეთავაზებას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერის დასრულების შემდეგ. მსგავსი საკრედიტო ხაზების მოდელის და განხორციელების შესწავლა სასარგებლო ინფორმაციას მოგვცემს იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება გაკეთდეს, რათა გაიზარდოს საბანკო სექტორის შესაძლებლობები და სურვილი მცირე და საშუალო საწარმოების მწვანე ინვესტიციების დასაფინანსებლად.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) შეისწავლა საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების მწვანე სესხებთან დაკავშირებული გამოწვევები. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, OECD მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს ბანკთან, თიბისი ბანკთან და პროკრედიტ ბანკთან:

სამ ბანკთან, რომელთაც განსაკუთრებით კარგი პოზიცია აქვთ ინფორმაციის მისაწოდებლად, რადგან წარმოადგენენ უმსხვილეს ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებს, რომელთაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით მიღებული ჰქონდათ გარემოსდაცვითი საკრედიტო ხაზები საქართველოში.

შეხვედრის მიზნები

გარემოსდაცვითი საკრედიტო ხაზების განხორციელების საკითხებში აღნიშნული ბანკების გამოცდილებიდან მიღებული გაკვეთილები თბილისში წარმართული დისკუსიის ძირითადი თემა იქნება. ეს გამოცდილება ასევე ხელს შეუწყობს მწვანე ფინანსებთან დაკავშირებით უფრო ფართო პოლიტიკური და მარეგულირებელი საკითხების გადაჭრის გზების განხილვას. შეხვედრაზე განიხილება, თუ როგორ შეუძლიათ სხვადასხვა პარტნიორებს ითანამშრომლონ საქართველოში კერძო ფინანსების უფრო ეფექტურად მოსაზიდად მწვანე, ნახშირბადის დაბალ ემისიაზე ორიენტირებული და ენერგოეფექტური ინვესტიციებისთვის SME სექტორში.

შეხვედრის კონკრეტული მიზნებია:

- იმ ძირითადი მიგნებებისა და დასკვნების წარდგენა და განხილვა, რომლებიც გამოტანილი იქნა საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების მწვანე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების შესაძლო გზების კვლევის საფუძველზე;
- საქართველოში არსებული იმ შესაბამისი ინიციატივების, პოლიტიკის ინიციატივების, პოლიტიკის ცვლილებებისა და ფინანსური მექანიზმების გაცნობა, რომელთა საშუალებით შესაძლებელია, მწვანე კრედიტისა და დაფინანსების მასშტაბების ზრდის ხელშეწყობა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;
- ძირითადი გამოწვევებისა და მომავალი ნაბიჯების განსაზღვრა ფინანსური მექანიზმებისა და პოლიტიკის რეფორმების ჰარმონიზების მიზნით, რათა დაჩქარდეს და გაიზარდოს მწვანე ინვესტიციები ენერგოეფექტური და ნახშირბადის დაბალ ემისიაზე ორიენტირებული ზრდის ხელშეწყობის მიზნით, რაშიც მონაწილეობას მიიღებს SME სექტორი.

შეხვედრაზე გამართული დისკუსია დაეყრდნობა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ მომზადებულ ანგარიშს.

აღნიშნული ნაშრომი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის “EU4Environment” ნაწილია. პროექტს ასევე მხარს უჭერს გერმანიის გარემოს, ბუნების დაცვის, მშენებლობისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტრო საერთაშორისო კლიმატური ინიციატივის მეშვეობით.

შეხვედრის მონაწილეები

შეხვედრაში მონაწილეობას იღებენ ხელისუფლების ოფიციალური პირები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, სოფლის მეურნეობის სამინისტროებიდან, სამთავრობო უწყებებიდან,

როგორიცაა, მაგალითად, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო(GITA), აწარმოე საქართველოში, ასევე კომერციული ასოციაციები, ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები, საბანკო სექტორის მარეგულირებელი უწყება - საქართველოს ეროვნული ბანკი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (მაგ. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი) საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, UNIDO, USAID, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში). სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, კონსულტანტები, ოფიციალური პირები მწვანე/კლიმატთან დაკავშირებული ინიციატივებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე მოწვეულები არიან დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად.

პროექტი„EU4Environment“

“ევროკავშირის გარემოსთვის” (**EU4Environment**) პროექტის მიზანია დაეხმაროს ექვს პარტნიორ ქვეყანას: სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსს, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკას და უკრაინას შეინარჩუნონ ბუნებრივი კაპიტალი და გააუმჯობესონ ადამიანების ეკოლოგიური კეთილდღეობა გარემოსთან დაკავშირებული მოძრაობის მხარდაჭერის, მწვანე ზრდის შესაძლებლობების დემონსტრირებისა და შექმნის და ეკოლოგიური რისკებისა და ზემოქმედების უკეთ მართვის მექანიზმების დანერგვის მეშვეობით.

აღნიშნული პროექტი ფინანსდება შემდეგი ორგანიზაციების მიერ: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის (UNECE), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UN Environment), გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) და მსოფლიო ბანკი, დაახლოებით 20 მილიონი ევროს ოდენობის ბიუჯეტის საფუძველზე. პროექტის განხორციელების პერიოდია 2019-2022 წლები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: EU4Environment@oecd.org

დღის წესრიგი

2019 წლის 16 ივლისი, სამშაბათი	
8:30 – 9:00	*რეგისტრაცია და ყავა*
სესია 1	*გახსნა*
9:00 – 9:30	• *მისალმება – ეკატერინე მიქაბაძე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე და შეხვედრის თავმჯდომარე* • *მისალმება –ალექსანდრე დარასი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში* • *მისალმება –იურგენ კეინჰორსტი გერმანიის გარემოს, ბუნების დაცვისა და ატომური უსაფრთხოების სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიასთან, ახლო აღმოსავლეთთან და ჩრდილოეთ აფრიკასთან თანამშრომლობის დეპარტამენტის დირექტორი და OECD GREEN-ის სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე, გერმანია* • *დღის წესრიგისა და შეხვედრის მიზნების გაცნობა – ნელი პეტკოვა, OECD*
სესია 2	*პოლიტიკის გარემო მწვანე ინვესტიციებისთვის საქართველოს SME სექტორში*
9:30 – 11:00	აღნიშნულ სესიაზე განიხილება SME ეროვნული პოლიტიკის გარემო და კლიმატთან და ენერგეტიკასთან დაკავშირებული პოლიტიკის უახლესი მოვლენები. სესიის მიზანია, ასევე განისაზღვროს, არსებული პოლიტიკის ჩარჩოები რამდენად ქმნის მცირე და საშუალო საწარმოების სექტორში მწვანე ინვესტიციების მოთხოვნას და განისაზღვროს ხელისუფლების როლი დარგის მწვანე ტრანსფორმაციის დაჩქარებაში. **შესავალი სიტყვა** • ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – *ეკატერინე მიქაბაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, საქართველო* **დისკუსიის მონაწილეები** • საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო – *ნინო თანდილაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, საქართველო*

- აწარმოე საქართველოში – პოლიტიკის ინსტრუმენტები და ფინანსური პროდუქტები მცირე და საშუალო საწარმოების მწვანე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მხარდასაჭერად – *მიხეილ ხიდურელი, დირექტორი*
- საქართველოს ეროვნული ბანკი – *ზვიად ზედგინიძე, ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტის უფროსი*

<u>კითხვები დისკუსიისთვის:</u>

- ***რა არის SME-ების როლი მწვანე და დაბალნახშირბადიან ეკონომიკასა და კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებში?***
- ***SME სექტორის მწვანე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის რა ძირითადი გამოწვევები არსებობს საქართველოში და რა ღონისძიებებია საჭირო მსგავსი გამოწვევების შესამცირებლად და გადასალახად?***
- ***რა ძირითადი პოლიტიკის ღონისძიებების გამოყენება შეუძლია ხელისუფლებას საქართველოში SME სექტორში მწვანე ინვესტიციებზე მოთხოვნის ხელშეწყობის მიზნით? რის გაკეთება შეუძლია ხელისუფლებას, რათა ხელი შეუწყოს SME -ების მწვანე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას?***
- ***რის გაკეთება შეუძლია ხელისუფლებას საბანკო სექტორის წასახალისებლად უფრო მეტი სესხები გასცეს SME-ების მიერ განხორციელებულ მწვანე პროექტებზე?***

11:00 – 11:30	*ყავის შესვენება*

სესია 3	მწვანე სესხები SME -ებისთვის საქართველოში: შიდა გამსესხებელი და მსესხებელი ორგანიზაციების პერსპექტივა
11:30 – 13:15	აღნიშნულ სესიაზე განიხილება იმ ბანკების გამოცდილებიდან მიღებული ძირითადი გაკვეთილები, რომლებიც აფინანსებენ SME-ების მწვანე ინვესტიციებს განახლებადი ენერგიის წყაროებში საქართველოში. როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოიყენონ სხვა ადგილობრივმა გამსესხებელმა ორგანიზაციებმა? სესია ორგანიზებული იქნება ჯგუფური დისკუსიის ფორმატში და თითოეულ გამომსვლელს 7-8 წუთი ექნება ძირითადი საკითხების ჩამოსაყალიბებლად.

შესავალი

- SME-ების მწვანე ინვესტიციებისთვის სესხის გაცემის კომერციული ბანკების გამოცდილებიდან მიღებული გაკვეთილები საქართველოში –

მეთიუ სევიჯი, OECD/Oxford Consulting

დისკუსიის მონაწილეები

- რა მუშაობს კარგად და რის გაკეთება შეიძლება უკეთ საქართველოში SME-ებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით? – *ირაკლი დიასამიძე, თიბისი ბანკი და ქეთევან კეკელაშვილი, პროკრედიტ ბანკი*
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამოცდილება საქართველოში მწვანე სესხების გაცემასთან დაკავშირებით – *მარიამ ჯავახიშვილი, EBRD და ანდრეას ბერკჰოფი სესხების უფროსი ოფიცერი, ევროკავშირის სამეზობლო - ბანკები, EIB*
- მსესხებელთა პერსპექტივა: რამდენად იოლია სესხის მიღება მწვანე საინვესტიციო პროექტისთვის თუ აკმაყოფილებს SME-ის კრიტერიუმებს? – *ირაკლი აბაშიძე, კავკასიის სუფთა ენერგიის ფონდი, ედიშერ ხიმშიაშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, შპს ნოვა და ალექსანდრე სოკოლოვსკი, დირექტორი, შპს პრაიმ ბეტონი*
- *დაფინანსების რესურსების ეფექტიანობა და მწვანე წარმოების ღონისძიებები SME ებში - ტატიანია ჩერნიავსკაია, საერთაშორის პრეოქტის კოორდინატორი, UNIDO*

<u>საერთო დისკუსია</u>:

- ***რა ძირითადი გამოწვევები არსებობს მწვანე სესხების ბაზარზე SME-ების პროექტებისთვის გამსესხებლის პერსპექტივიდან? რა გარემოებებში შეუძლიათ კომერციულ ბანკებს გაზარდონ სესხის გაცემა SME-ებზე ამ სექტორში მწვანე პროექტების მხარდასაჭერად?***
- ***სად ხედავენ SME მსესხებლები ძირითად გამოწვევებს მწვანე სესხზე განაცხადის შეტანისას? როგორ შეიძლება ამ საკითხების გადაწყვეტა? როგორ შეუძლია ხელისუფლებას დაეხმაროს SME მსესხებლებს?***
- ***არიან თუ არა კომერციული ბანკები საუკეთესო დამფინანსებლები? არსებობს თუ არა სხვა დაფინანსების არჩევანი?***

13:15 – 14:30	*ლანჩი/საერთო ფოტოს გადაღება*
სესია 4	*საბანკო სექტორს მიღმა*
14:30 – 16:15	ეს სესია განიხილავს სხვა შესაძლო ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც სცდება კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებული ტრადიციული კერძო კაპიტალის წყაროებს. განხილული იქნება სახელმწიფო მხარდაჭერის შესაძლებლობები, მწვანე ობლიგაციები მწვანე ფინანსების მოსაზიდად, ასევე ენერგეტიკული მომსახურების კომპანიების (ESCOs) მუშაობა მწვანე

ინვესტიციების მხარდაჭერის მიზნით.

- კაპიტალის ბაზრის მობილიზება: რა მომავალი აქვს აქციებისა და სავალო კაპიტალის ბაზარს საქართველოში?–*პროფესორი დავით ასლანიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტი, კავკასიის ბიზნესის სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი*
- რა როლი აქვს მწვანე ობლიგაციებს? მექსიკის გამოცდილება მწვანე ობლიგაციების გამოშვებაში SME-ის სექტორის მწვანე ინვესტიციებისთვის – კრისტიან ბრუნინგი, *დირექტორი, Climate Wedge*
- ენერგეტიკულიმომსახურებისკომპანიების (ESCOs) როლი ფინანსების მობილიზების საკითხში მსს-ის სექტორის მწვანე ინვესტიციებისთვის – *ლარს პეტერ ლუნდენი, „სიგრა გრუპი“*

<u>საერთო დისკუსია:</u>

- ***რა რეფორმებია საჭირო სახელმწიფო მხარდაჭერასა და საჯარო და კერძო ფინანსების დაკავშირების მიდგომებში ნახშირბადის დაბალი ემისიის, მასალებისა და ენერგო ეფექტური ინვესტიციების დაფინანსების გასაძლიერებლად SME სექტორში?***
- ***შეიძლება თუ არა მწვანე ობლიგაციების გამოშვება რეალისტური არჩევანი იყოს დამატებითი ფინანსების მოსაზიდად მწვანე ინვესტიციებისთვის?***
- ***არის თუ არა სივრცე ენერგეტიკული მომსახურების კომპანიებისთვის (ESCOs) საქართველოში და როგორია ხელისუფლების როლი ამ ინსტრუმენტის ამოქმედებისთვის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად ?***

სესია 5	*დახურვა*

16:00 17:00	–	ამ სესიის ფარგლებში, OECD და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შეაჯამებენ შეხვედრაზე გამართულ დისკუსიას. ისინი ასევე გამოყოფენ ახალი პოლიტიკის საკითხებს, რომლებიც, შესაძლოა, გათვალისწინებული იქნას შემდგომი შესწავლის მიზნით, საქართველოს მცდელობის მხარდასაჭერად დააფინანსოს ენერგოეფექტურ და ნახშირბადის დაბალ ემისიაზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასვლა SME სექტორზე აქცენტით. • დისკუსიის შედეგები და შემდგომი ნაბიჯები - კრისტოფ მიჩალაკი *OECD* • დასკვნითი გამოსვლა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, *გერმანია და OECD* <u>საერთო დისკუსია:</u> • ***რომელია პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც საჭიროებს დამატებით შესწავლას?*** • ***როგორ შეუძლიათ პარტნიორებს - OECD-ს, ევროკავშირსა და პროექტს „EU4Environment"-სხელი შეუწყონ ხელისუფლების მცდელობას საქართველოში მწვანე ზრდის პოლიტიკის რეფორმების წინსვლასთან დაკავშირებით?***
17:00 18:30	–	*კოქტეილი*